საქართველოს იუსტიციის
მინისტრის ბრძანება №52
2010 წლის 10 მარტი

ქ. თბილისი

ნოტარიუსთა რეესტრის ფორმისა და რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ნოტარიუსთა რეესტრის ფორმა (დანართი №1).
2. დამტკიცდეს ნოტარიუსთა რეესტრის წარმოების წესი (დანართი №2).
3. 2010 წლის 1 აპრილამდე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის, რეგისტრაციისა და ნოტარიატის დეპარტამენტმა უზრუნველყოს მოქმედი ნოტარიუსების რეესტრში რეგისტრაცია ამ ბრძანებით დადგენილი წესით.
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზ. ადეიშვილი

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 14 ივნისის ბრძანება №101 - ვებგვერდი, 14.06.2012 წ.

დანართი №1

ნოტარიუსთა რეესტრის ფორმა

ნოტარიუ-სის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი	სამუშაო ადგილის მისამართი	ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშვნის აქტის რეკვიზიტები	რეესტრში რეგისტრა-ციის თარიღი	ნოტარიუსის თანამდებობიდან გათავისუფლების აქტის რეკვიზიტები	რეესტრიდან ამორიცხვის თარიღი	შენიშვნა

დანართი №2

ნოტარიუსთა რეესტრის წარმოების წესი

მუხლი 1

1. ნოტარიუსთა რეესტრი (შემდგომში – რეესტრი) არის ნოტარიუსების შესახებ მონაცემთა სისტემური ერთობლიობა.
2. რეესტრის წარმოებას უზრუნველყოფს საქართველოს ნოტარიუსთა პალატა ელექტრონული ფორმით. რეესტრი უნდა გამოქვეყნდეს საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებგვერდზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 14 ივნისის ბრძანება №101 - ვებგვერდი, 14.06.2012 წ.

მუხლი 2

რეესტრის ფორმა (დანართი №1) უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) ნოტარიუსის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი;
ბ) სანოტარო ბიუროს მისამართი;
გ) ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშვნის აქტის რეკვიზიტები;
დ) რეესტრში რეგისტრაციის თარიღი;
ე) ნოტარიუსის თანამდებობიდან გათავისუფლების აქტის რეკვიზიტები;
ვ) რეესტრიდან ამორიცხვის თარიღი;
ზ) შენიშვნა.

მუხლი 3

1. რეესტრში ნოტარიუსს ენიჭება შესაბამისი ნომერი, რაც განისაზღვრება ნოტარიუსთა თანამდებობაზე დანიშვნის რიგითობის მიხედვით.

2. ნოტარიუსების შესახებ მონაცემები (ამონაწერი) გაიცემა რეესტრიდან